


ფლირტი თუ მეგობრობა?

შენი სიტყვები ზოგმა შეიძლება მეგობრულად მიიღოს, ზოგმა კი ფლირტად აღიქვას. ამიტომ კარგად დაფიქრდი, სანამ რამეს იტყვი ან გააკეთებ, რათა არავის აფიქრებინო, რომ მოგწონს.



1

მესიჯები

- რას იფიქრებს, თუ დღის განმავლობაში ბევრ მესიჯს უგზავნი?

- რას იფიქრებს, თუ გვიანობამდე ემესიჯები?


- რას იფიქრებს, თუ მისი პირადი პრობლემებით ხშირად ინტერესდები?

„უნდა ვაღიარო, რომ რთულია, არ გაეპრანჭო ბიჭს, რომელიც მოგწონს. მაგრამ ერთ რამეს მივხვდი: ფლირტი სულაც არ არის საჭირო, ვინმეს რომ თავი მოაწონო. თუ ფიქრობ, რომ მზად ხარ პაემნისთვის, აჯობებს, ურთიერთობა მეგობრობით დაიწყო“ (19 წლის ჯულია).

2

„სმაილები“

- 1-დან 6-მდე დანომრე „სმაილები“ იმის მიხედვით, თუ რომელი გამოსატავს შენთვის ყველაზე მეტად საპირისპირო სქესის მიმართ მოწონებას.



წარმოიდგინე ასეთი რამ: ემესიჯები მეგობარს, რომლის მიმართაც რომანტიკული გრძნობები არ გაქვს; მის მიმართ დიდ ყურადღებას ავლენ, რადგან იცი, რომ ახლა პრობლემები აქვს. დაფუშვათ, ასეთი შინაარსის წერილს უგზავნი:

ვიცი, რომ მძიმე დღე გქონდა, მაგრამ არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება!

ვთქვათ, ამ სიტყვებთან ერთად „სმაილსაც“ უგზავნი. დააკვირდი ქვემოთ მოცემულ მაგალითებს და უბასუხე კითხვებს.

ვიცი, რომ მძიმე დღე გქონდა, მაგრამ არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება!



რა რეაქცია ექნება?

იფიქრებს, რომ ეფლირტავები?



ვიცი, რომ მძიმე დღე გქონდა, მაგრამ არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება!



რა რეაქცია ექნება?

იფიქრებს, რომ ეფლირტავები?



ვიცი, რომ მძიმე დღე გქონდა, მაგრამ არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება!



რა რეაქცია ექნება?

იფიქრებს, რომ ეფლირტავები?



ვიცი, რომ მძიმე დღე გქონდა, მაგრამ არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება!



რა რეაქცია ექნება?

იფიქრებს, რომ ეფლირტავები?



ვიცი, რომ მძიმე დღე გქონდა, მაგრამ არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება!



რა რეაქცია ექნება?

იფიქრებს, რომ ეფლირტავები?



ვიცი, რომ მძიმე დღე გქონდა, მაგრამ არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნება!




რა რეაქცია ექნება?

იფიქრებს, რომ ეფლირტავები?




- რომელი „სმაილი“ არ უნდა გაუგზავნო, სხვანაირად რომ არ იფიქროს?

აირჩიე



- რომელი „სმაილი“ შეგიძლია გაუგზავნო?

აირჩიე



3

რას ფიქრობ?

„ჩემმა თანამშრომელმა მითხრა, რომ, როცა ვინმეს ეფლირტავები, კარგ განწყობაზე დგები; მას კი, ვისაც ეფლირტავები, საკუთარი პიროვნების წარმოჩენაში ეხმარები“ (კარლი).


- ეთანხმები კარლის თანამშრომელს?

დიას არა

ახსენი, რატომ

- შენი აზრით, რას არ ითვალისწინებს კარლის თანამშრომელი?

„ბიჭებს დიდი ვგონივარ და მეფლირტავებიან სოლ-მე. მაგრამ ვიცი, რომ მათ არ უნდა ავეყვე. ჩემთვის ადრეა პაემანზე სიარული, ამიტომ ვინმესთვის რაიმე საბაბის მიცემა ნამდვილად არ იქნება სწორი“ (16 წლის ელენი).



ტარას ამბავი:

„მინდოდა, ერთ ბიჭს მოვწონებოდი; თუმცა სიმართლე გითხრათ, მის მიმართ არაფერს ვგრძნობდი, უბრალოდ ყურადღება მსიამოვნებდა. როცა თავს ცუდად ვგრძნობდი ან ცუდი დღე მქონდა, მას ვესაუბრებოდი. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ გული ძალიან ვატყინე, რადგან ვაფიქრებინე, რომ მომწონდა. როცა ვუთხარი, რომ მის მიმართ არაფერს ვგრძნობდი, დიდი ტკივილი მივაყენე. ვერც

კი წარმოვიდგენდი, თუ ასე ძალიან მოვწონდი. მას საკმაო დრო დასჭირდა, რომ მდგომარეობიდან გამოსულიყო. თავს საშინლად ვგრძნობდი“.

რა ვისწავლე: „ფლირტი უწყინარი თამაში არ არის. ის ადამიანის გრძნობებს ენება. ფლირტი ძირს უთხრის მეგობრობას და ზედმეტ პრობლემებს გიქმნის“.